არ გინდათ მიგითითოთ ისეთ რამეზე, რაც თქვენ მიერ მოთხოვნილზე უკეთესია? როცა დასაძინებლად დაწვებით ან საწოლში შეხვალთ, თქვით 'სუბჰანალლაჰ' 33-ჯერ, 'ალჰამდულილლაჰ' 33-ჯერ და 'ალლაჰუ აქბარ' 34-ჯერ. ეს უკეთესია თქვენთვის, ვიდრე მსახური

გადმოცემულია 'ალისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: რომ ფატიმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მივიდა მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რათა მისთვის შეეჩივლა წისქვილის ტრიალით გამოწვეული ხელების დაღლილობის გამო. მას ასევე მოუსმენია, რომ მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) მონები მოვიდნენ, თუმცა ვერ ნახა ის(მოციქული),და ამის შესახებ მან აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) უთხრა, როდესაც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სახლში დაბრუნდა, აიშამ ეს ამბავი გააცნო. მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფატიმასა და ალის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) სახლში მივიდა მაშინ, როცა ისინი უკვე დასასვენებლად იყვნენ დაწოლილები. ისინი ადგომას შეეცადნენ, მაგრამ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «დარჩით თქვენს ადგილას». შემდეგ მივიდა, მათ შორის დაჯდა ისე, რომ 'ალიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) იგრძნო მისი ფეხების სიგრილე, შემდეგ მან თქვა: «არ გინდათ მიგითითოთ ისეთ რამეზე, რაც თქვენ მიერ მოთხოვნილზე უკეთესია? როცა დასაძინებლად დაწვებით ან საწოლში შეხვალთ, თქვით 'სუბჰანალლაჰ' 33-ჯერ, 'ალჰამდულილლაჰ' 33-ჯერ და 'ალლაჰუ აქბარ' 34-ჯერ. ეს უკეთესია თქვენთვის, ვიდრე მსახური».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ფატიმამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ქალიშვილმა შესჩივლა იმის შესახებ, რაც ხელზე ეტკინა საფქვევი მოწყობილობის მუდმივი გამოყენებისგან, როდესაც მოციქულთან (ალლაჰის ლოვცა და მშვიდობა მას) ტყვეები მოხვდნენ, ფატიმამ გადაწყვიტა ეთხოვა მისთვის მსახური, რომელიც მის ნაცვლად სახლში მუშაობას შეასრულებდა. თუმცა, როდესაც მის სახლში მივიდა, ის არ დახვდა იქ და მხოლოდ აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი იპოვა), ვისაც ეს ამბავი მოუყვა, როდესაც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა, აიშამ ამცნო მას, რომ ფატიმა მასთან მოსულიყო, რათა მსახური ეთხოვა, მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა ფატიმასა და ალის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) სახლში, როდესაც ისინი უკვე საწოლში იწვნენ და ძილისთვის ემზადებოდნენ. მოციქული მათ შორის დაჯდა ისე, რომ ალიმ იგრძნო მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფეხების სიგრილე საკუთარ მუცელზე, მოციქულმა მათ ასე მიმართა: ნუთუ არ გასწავლოთ თქვენ ორს ის, რაც უკეთესია, ვიდრე ის, რაც მთხოვეთ, რომ მსახური მოგცეთ? მათ უპასუხეს: «დიახ». მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: როდესაც ღამით დასაძინებლად დაწვებით, თქვით: ალლაჰუ აქბარ/დიდება ალლაჰს/ 34-ჯერ, და განადიდეთ ალლაჰი, სიტყვებით: სუბჰანალლაჰ/წმინდაა ალლაჰი/33-ჯერ, და შეაქეთ

ალლაჰი, სიტყვებით: ალჰამდულილლაჰ/ქება-დიდება ალლაჰს/ 33-ჯერ. ეს ზიქრი უკეთესია თქვენთვის, ვიდრე მსახური.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/6076